# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 41

„28" თებერვალი 2020 წ

ქ. თბილისი

**ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №44-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ზ" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 75-ე მუხლის „დ.ა" ქვეპუნქტის $118^1$ მუხლის პირველი და მესამე პუნქტების და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს №21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის პირველი მუხლის მე-3 პუნქტის, მე-2 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა №44-ში (საკადასტრო კოდი: №01.14.05.003.009) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 26 თებერვლის №20.224.256 განკარგულების დანართი 1-ით წარმოდგენილ ნუსხაში გათვალისწინებული უძრავი ქონების, ამავე ნუსხაში მითითებული პირთათვის პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზებაზე, ზემოაღნიშნული განკარგულების დანართი 2-ით წარმოდგენილი ხელშეკრულების პროექტის შესაბამისად.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე

დანართი №1

ქ.თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქუჩა, №44

| № | სახელი, გვარი | პირადი ნომერი | საკადასტრო კოდი | ფართი |
|---|---|---|---|---|
| 1 | თეა ბოლქვაძე | 33001000793 | 01.14.05.003.009.01.030 | 35.10 |
| 2 | ნატო ბუცხრიკიძე | 41001020880 | 01.14.05.003.009.01.097 | 53.35 |
| 3 | სოფიო ფიფია | 22001020441 | 01.14.05.003.009.01.077 | 87.85 |
| 4 | მარიამი მაღლაკელიძე | 01015022726 | 01.14.05.003.009.01.062 | 42.59 |
| 5 | გიორგი მახარაშვილი | 01008063850 | 01.14.05.003.009.01.091 | 23.35 |
| 6 | რუსუდანი ფონჯავიძე | 22001014349 | 01.14.05.003.009.01.087 | 70.40 |
| 7 | ლარისა კოსიცკი | 01008047141 | 01.14.05.003.009.01.080 | 83.66 |
| 8 | ლევან კევლიშვილი | 55501030959 | 01.14.05.003.009.01.073 | 59.06 |
| 9 | ნანა ლაშხია | 29001027914 | 01.14.05.003.009.01.079 | 71.95 |
| 10 | დავით კალანდაძე | 01012010786 | 01.14.05.003.009.01.035 | 69.13 |
| 11 | ემზარ გაგელიძე | 16001008480 | 01.14.05.003.009.01.092 | 54.57 |